

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 28 დეკემბრის
დადგენილება №839

2012-2013 სასწავლო წლის ოქტომბრის,
ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სტუ-ს
ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებისათვის
პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შერჩევის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 5 დეკემბრის №1198 ბრძანებით სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებისთვის 2012 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებისათვის გამოყოფილი პრეზიდენტის 295 სტიპენდია ფაკულტეტების მიხედვით ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებზე, პირველ რიგში, განაწილდეს პრიორიტეტული სპეციალობების მიხედვით (ყველა საინჟინრო სპეციალობა და ეკონომიკა);
2. პრეზიდენტის სტიპენდია დაინიშნოს 2011-2012 სასწავლო წლის ზაფხულის სესიების შედეგების მიხედვით;
3. პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შესარჩევად, ფაკულტეტებზე, დეკანების ბრძანებით შეიქმნას საკონკურსო კომისიები, რომლებიც იხელმძღვანელებენ შემდეგით:
 - პრეზიდენტის სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის გარდა ეკონომიკის სპეციალობის 60 და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალობის 13 წარჩინებულ სტუდენტს, რომელთა აკადემიური მოსწრება 91% ზე მეტი რანჟირებული სიების მიხედვით;
 - პრეზიდენტის სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის სამშენებლო, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის, სამთო-გეოლოგიური, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის (გარდა ბიზნეს-ორგანიზაციისა და ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალობებისა), არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტების ყველა სპეციალობის და ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ეკონომიკის სპეციალობის იმ წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება 91% და მეტია, ამ ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისი რანჟირებული სიების მიხედვით შემდეგი ოდენობით:

- სამშენებლო ფაკულტეტი 22 სტიპენდია;
 - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი 37 სტიპენდია;
 - სამთო გეოლოგიური ფაკულტეტი 13 სტიპენდია;
 - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის 23 სტიპენდია;
 - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი 21 სტიპენდია;
 - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი 11 სტიპენდია;
 - ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი 7 სტიპენდია;
 - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი 88 სტიპენდია.
- პრეზიდენტის სტიპენდიის დანიშვნისას, ფაკულტეტებზე თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნეს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები; ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
4. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ბრძანება პრეზიდენტის სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
აკადემიური საბჭოს მდივანი

ა. ფრანგიშვილი
გ. სალუქვაძე